

შპს „დიდი დილომი პროექტ“

საიდენტიფიკაციო კოდი: 405193909

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

აქტივები	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	212166	448719	919277
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	191500	603106	438194
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	425174	1029813	204531
მარაგები	635251	1775355	3001241
მზა პროდუქცია	635251	300857	179601
სხვა		1474498	2821640
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	17040	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	767	975	0
ძირითადი საშუალებები	4142901	2341809	871771
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები		203346	0
სულ აქტივები	5607759	6420163	5435014
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	2131	550	551782
მიღებული ავანსები	19147	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	8841	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	17640	547969	388495
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	1014064	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები		1587915	886677
სულ ვალდებულებები	47759	3150498	1826954

შპს "დიდი დილომი პროექტ" (405193909)

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის
თანხები მოცემულია ლარში თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	234661	874844
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	5560000	3035004	2733216
გადაფასების რეზერვი			
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			
სულ საკუთარი კაპიტალი	5560000	3269665	3608060
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5607759	6420163	5435014

დირექტორი: ზვიად სეზისკვერაძე

ზ. სეზისკვერაძე

**მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	3973588	4419653
საქონლის გაყიდვიდან	3916353	4419653
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	57235	0
გაყიდვების თვითღირებულება	(1974798)	(3904101)
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადაუმუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1998790	515552
სხვა საოპერაციო შემოსავალი	165061	111812
დასაქმებულთა ანაზღაურება	(79651)	(78526)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(28556)	(27129)
საპროცენტო შემოსავალი	34181	45075
საპროცენტო ხარჯი	(15834)	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(240979)	(264996)
სულ საოპერაციო ხარჯები	(165778)	(213764)
საოპერაციო მოგება	1833012	301788
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით გაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1833012	301788
მოგების გადასახადის ხარჯი	(67070)	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1765942	301788

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1765942	301788
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3269665	3608060
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(380066)	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	313650	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	590809	(640183)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5560000	3269665

ფულადი სახსრების მოძრაობა 2022 წელი		სულ
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		448,719
1	შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობიდან (+)	3973588
2	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები (+)	989
3	თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები (-)	-79,651
4	მასალებზე გაწეული ხარჯი (-)	-28,188
5	გადახდილი გადასახადები (-)	-367294
6	მიღებული მომსახურების და სხვა საოპერაციო ხარჯი (-)	-1498176
7	მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯები (-)	
8	სხვა არასაოპერაციო ხარჯი (-)	
	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2001268
საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		
9	საწარმოს წილის გასხვისებიდან მიღებული ფულადი სახსრები (+)	
10	ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები (+)	726296
11	საწარმოს მიერ გაცემული სესხის დაფარვით მიღებული ფულადი სახსრები (+)	1,129,648

12	მიღებული პროცენტები (+)	34181
13	მიღებული დივიდენდები (+)	
14	სხვა საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები (+)	3687
15	შვილობილი საწარმოს შეძენა ფულადი სახსრების გამოკლებით (-)	
16	ძირითადი საშუალებების შეძენა (-)	-2254313
17	სესხების გაცემა (-)	-290000
18	სხვა საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების მიზნით გასული ფულადი სახსრები (-)	-235009
	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-885510
	საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	
19	შენატანები კაპიტალში (+)	
20	შემოსულობა აქციათა ემისიიდან (+)	
21	შემოსულობა მოკლევადიანი სესხებიდან (+)	
22	შემოსულობა გრძელვადიანი სესხებიდან (+)	
23	მოკლევადიანი სესხის ძირითადი თანხის დაფარვა (-)	
24	გრძელვადიანი სესხის ძირითადი თანხის დაფარვა (-)	-956411
25	მოკლევადიანი სესხის პროცენტის დაფარვა (-)	
26	გრძელვადიანი სესხის პროცენტის დაფარვა (-)	-15,834
27	გადახდილი დივიდენდები (-)	-380,066
28	სხვა საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მიღება (+)	
29	სხვა საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გასვლა (-)	
	წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-1,352,311
	ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	212,166
	ფულადი სახსრები და ეკვივალენტების წმინდა ზრდა/კლება	-236,553

დირექტორი: ზვიად სეზისკვერაძე

ზ. სეზისკვერაძე

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს დიდი დილომი პროექტი (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2017 წლის 7 მარტს, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიის სამართლებრივი ფორმით, საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

შპს დიდი დილომი პროექტის მშობელი საწარმო არ ჰყავს. კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია-პერეტს დოვრატი(01401135515). შპს „დიდი დილომი პროექტი“ არ ფლობს სხვა საწარმოებს და არც წილობრივი მონაწილე არ არის სხვა საწარმოების.

კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული/ფაქტობრივი მისამართია: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვ. ნოზაძის ქ. N2 ბლოკი გ.ბ. N23, საიდენტიფიკაციო კოდი: 405193909.

შპს დიდი დილომი პროექტი წარმოადგენს დეველოპერ კომპანიას, კომპანიის ძირითადი შემოსავალი გენერირდება უძრავი ქონების რეალიზაციიდან და საკუთარი უძრავი ქონების გაქირავებიდან.

მშენებლობები მიმდინარებს ქ. თბილისში, დიდ დილომში, 2022 წ. დასრულდა მირიან მეფის N67 კომერციული ფართის მშენებლობა და იჯარით გაიგა ფართის ნაწილი. დასრულდა დემეტრე თავდადებულის ქ. N 40ა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. წმინდა 13 ასურელი მამის ქუჩაზე N 56 მიმდინარეობს კომერციული ფართის მშენებლობა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სადრიცხო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომ „მსს ფასს სტანდარტი“) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია „საქართველოს“ ქვეყნის ფულად ერთეულში ლარში (GEL).

მარაგებს წარმოადგენს ფართები, მზა პროდუქციის სახით, რომელიც მომავალში რეალიზაციისთვისაა განკუთვნილი.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის შპს დიდი დილომი პროექტის მარაგები შეადგენს 635251 ლ-ს.

ამონაგების აღიარება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოში მოქმედი რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ნეტო ამონაგებმა 2022 წ. შეადგინა 397358 ლ. ძირითადი შემოსავალი 3916353 ლ საცხოვრებელი ბინების რეალიზაციიდან იქნა მიღებული. 57235 ლ კომერციული ფართების გაქირავებიდან.

სხვა საოპერაციო შემოსავალი შეადგენს 165061 ლ-ს. რაც მოიცავს საპროცენტო შემოსავლებს, დადებით საკურსო სხვაობას.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის გამოკლებით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5 პროცენტი
1000 ლარამდე ძ.ს	20 პროცენტი
საოფისე აღჭურვილობა	20 პროცენტი
სპეციალური ინსტრუმენტები	20 პროცენტი

შპს დიდი დილომი პროექტის ბალანსზე ირიცხება როგორც ორგანიზაციის მიერ აშენებული, ასევე შეძენილი კომერციული ფართები, ავტოსადგომები, რომელიც წარმოადგენს საინვესტიციო ქონებას რომელსაც ერიცხება ცვეთა 5%..

მიწის ნაკვეთები ღირებულებით :2181558ლ

მსუბუქი ავტომობილი ცვეთა 20%

ოფისის აღჭურვილობა და კომპიუტერული ტექნიკა. ცვეთა 20%

2022წ. ძირითად საშუალებებზე დარიცხულმა ცვეთამ შეადგინა 28556ლ.ნარჩენი ღირებულებამ კი შეადგინა 1961343ლ.

თუ არ არსებობს ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები. აღიარება და შეფასება. არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ჩვენს ბალანსზე ირიცხება პროგრამული უზრუნველყოფის (ბუღალტრული პროგრამა(info) არამატერიალური აქტივი.რომელსაც ფინანსურად აკლდება წლის ჭრილში ამორტიზაციის ხარჯი. 2022წ. ნარჩენი ღირებულება შეადგენს 767ლ. შეძენილი არამატერიალური აქტივი აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

აქტივების გაუფასურება. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და

შპს "დიდი დილომი პროექტი" (405193909)

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის
თანხები მოცემულია ლარში თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული
შეუდარდება მის მიმდინარე საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო
ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება
მოგებაში ან ზარალში. ჯგუფმა 2022, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მოახდინა ძირითადი საშუალებების
გაუფასურების ტესტის ჩატარება.

იჯარა. იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული
აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა
იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით,
შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

შპს დიდი დილომი პროექტის, ქ.თბილისი, დიდ დილომი, მირიან მეფის N67, იჯარით გაცემული აქვს კომერციული ფართები,
რომელიც რეგულირდება ხელშეკრულებით, იჯარის დარიცხვა ხდება ყოველთვიურად და შესაბამისად შემოსავალში აისახება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. ამონაგები, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ
დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

2022წ.31.12. დებიტორული მოთხოვნები შეადგენს: 191500ლ. გაცემული სესხები: 116824ლ.

სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ
ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო
ვალდებულებები გადანაგარიშდება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული კურსის მიხედვით.
საკურსო სხვაობით წარმოქმნილი ნამეტი ან ზარალი აისახება ფინანსურ შემოსავალში ან ფინანსურ ხარჯებში.

2022წ.31.12 სავაჭრო ვალდებულებები შეადგენს -2131ლ. მიღებული ავანსები 19147ლ. თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები
8841ლ. დარიცხული საგადასახადო ვალდებულებები 17640ლ.

პერსონალის ხარჯი და დაკავშირებული შენატანები. ხელფასები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო
შვებულება, ბონუსები, არაფულადი სარგებელი და საპენსიო სააგენტოში შენატანები დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც
გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები კომპანიის თანამშრომლების მიერ.

2022წ. პერსონალზე გაცემულმა სახელფასო სარგომ შეადგინა 79651ლ.

3. კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განიცემული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განიცემული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური ცვეთა.

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის
თანხები მოცემულია ლარში თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული
საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე
დაყრდნობით (საწარმოს უწყვეტობა), რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი
საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა კომპანიის ფინანსური მდგომარეობით,
ოპერაციების შედეგებით, არსებული განზრახვებითა და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების
გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისთვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე.

31.12.2022 წ. ორგანიზაციას პირად ბარათზე ერიცხება ზედმეტობა 9ლ.

31.12.2022წ. დარიცხული ქონების გადასახადი შეადგენს 12999ლ-ს ხოლო დეკემბრის თვის საგადასახადო დარიცხული
ვალდებულება-4641ლ.

4. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში ხშირად ხორციელდება ცვლილებები,
რაც იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

განხორციელებული ოპერაციების კვალიფიკაციის მინიჭება ხდება მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე.
კომპანია თანმიმდევრულია მიმდინარე საგადასახადო სიახლეებზე და ითვალისწინებს გამოცემულ მეთოდურ მითითებებს, რაც
ამცირებს საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებით მოსალოდნელ ინტერპრეტაციებს.

5. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდის მოვლენები არ წარმოადგენს მაკორექტირებელ მოვლენებს, რომელმაც შეიძლება
გავლენა იქონიოს აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან
შემოსავალზე, ხარჯებსა ან ფულადი სახსრების მოძრაობაზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის
განმავლობაში.

კომპანია მომავალში გეგმავს მეტი ინვესტიციის მოზიდვას, რაც გულისხმობს, საკუთარი კომერციული ფართების იჯარით
გაცემას. არსებული დაწყებული მშენებლობის დასრულებას და კეთილმოწყობას, შემდგომში იჯარით გაცემის მიზნით.

შპს „დიდი დილომი პროექტ“ (405193909)

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის
თანხები მოცემულია 1000 ლარში თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული

პ. სეიძე